წელიწადი 1-ლი | გაზ. ფასი 3 შაური. | ტელეფონი № 76. | ხუთშაბათი ოქტომბრის 19—(1) 1917

# ჩვენი ქვეყანა

გაზეთის ფასი:
თვიურათ . . . 3 მან.
ოთხი თვით . . . 1 თუმანი.
ცალკე ნუმერი . . . 3 შაური.
განცხადების ფასი:
პირველ გვერდზე პეტიტით ლირს . . . 2 მანეთ.
უკანასკნელ გვერდზე . . . შაური.
ქალაქ გარედან მიღებული განცხადება ღირს ერთი ორათ
სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა თითოჯერ არა უმეტეს სამი გამომცხადებლისა, ნაშუადღევის 2 საათ. 6 მ. 1 საათის შემდეგ 8 მ.

რედაქცია და კანტორა იმყოფება თფილისის ქუჩაზე, მიქელაძის სახში. კანტორა ღიაა დილის 9—2 საათამდის, და საღამოს 5—8 საათამდის, კვირა-უქმე დღეების გარდა.

№ 153 ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი № 153

ქუთაისის ქალაქის სასურსათო
კ ო მ ი ტ ე ტ ი
ამით აცხადებს, რომ ამ დღეებში დარიგდება
პურის ბარათები
და განცხადებებს თვალ-
ყური ადევნონ.

საქართველოს ეროვ.-დემოკრატიული პარტიის
ქუთაისის კომიტეტი

ამით აცხადებს, რომ წევრად ჩაწერა, საწევრო გადასახადის შეტანა და პარტიულ საქმეებზე მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე დილის 8—2 და საღამოს 7—9—დე პარტიის კანცელარიაში. თბილისის ქუჩა, ს. მიქელაძის სახლი, გაზ. „ჩვენი ქვეყნის" რედაქციასთან.

საქართველოს ეროვ.-დემოკრატიულ პარტიის
ოზურგეთის კომიტეტი

ამით აცხადებს, რომ ქ. ოზურგეთში დაარსდა პარტიული ორგანიზაცია. წევრად ჩაწერა და პარტიულ საქმეებზე მოლაპარაკება შეიძლება გერმანე გოგიტიძესთან. მასთანვე შეიძლება პროგრამის და პარტიულ ლიტერატურის მიღება.

ქართველთა სამხედრო
კ ა ვ შ ი რ ი
(ქუთაისის განყოფილება).

ამით აცხადებს, რომ კავშირში წევრად ჩაწერა შეუძლია ყველა ქართველ მხედარს (ჯარის-კაცებს, ოფიცრებს, სამხედრო ექიმებს და სამხედრო მოხელეებს). არა სამხედრო პირთ შეუძლიათ დამხმარე წევრად ჩაწერა. კავშირი უპარტიოა. კავშირს აქვს თავისი სამკითხველო, სადაც სწარმოებს წევრად ჩაწერა და შეწირულება მიიღება დილის 8—2 და საღამოს 5—9 საათამდის.

**მისამართი: ქუთაისი, ვორონცოვის ქუჩა, ქართველთა სამხედრო კავშირი:**

საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის წყალ
ტუბოს კომიტეტი

ამით აცხადებს, რომ პარტიაში ჩაწერა და საქმეების შესახებ მოლაპარაკება შეიძლება საუბნო კომიტეტის ბინაზე, **ორპირის ქუჩა, ლოლობერიძის სახლი.** ახლო მომავალში იქვე დაარსდება სამკითხველო პარტიის წევრთათვის. იქვე შეიძლება პარტიის პროგრამის და ლიტერატურის მიღება.

ელექტრო „რადიუმი" თეატრი.

19 ოქტომბრიდან ნაჩვენები იქნება სამხედრო მიმოხილვა

„გერმანეთის შვილნი"

დრამა 3 ნაწ, საუკეთესო მსახიობთა მონაწილეობით.

1 ნაწ. **გერმანელთა ორბნი.** 2 ნაწ. **მწვავე სხივების საიდუმლოება.** 3 ნაწ. **ჭეშმარიტების გამარჯვება.**

**ჯ ე რ ი  ყ ო ვ ე ლ ი ვ ე ს** კომიკური.

ელექტრო „ამპირი" თეატრი.

19 ოქტომბრიდან ნაჩვენები იქნება სურათი

„სიყვარულის დუელი"

დრამა 5 ნაწ. გიორგოვის, რუნიჩის და ხუდელის მონაწილეობით.

ხელის მომწერთა
საყურადღებოთ

გაზ. „ჩვენი ქვეყნის" კანტორა სთხოვს ხელის მომწერთ, რომელთაც ვადა გაუთავდა ან უთავდება დროზე შემოიტანონ ხვედრი ფული უკიდურეს შემთხვევაში კანტორა იძულებულ იქნება შესწყვიტოს გაზეთის გზავნა.

ძმ. ჟორჟოლიანების მაღაზიაში
(მიხეილის ქუჩა საკუთარი სახლი)

სეარის მივიღეთ **ბორჯომის წყალი** დიდი და პატარა ბოთლები, ფასები ზომიერია.

ექიმი **ვალერიანე მ. ლორთქიფანიძე.** იღებს შინაგანი, ბავშთა და ნერვების სნეულებით ავათმყოფებს ყოველ დღე დილის 11—2 საათ. საღამოს 7—9 ს. პუშკინის ქუჩა, ვიტუშინსკის სახლი

ე ქ ი მ ი

**ბ. ი. გოკიელი** ელექტრონისა და სინათლის კაბინეტი. შინაგანი, ნერვებისა და ვენერიულ ავათმყოფთათვის. ავათმყოფნი მიიღებიან დილის 6—12 საათ. და საღ. 6—8 საათ. ალექსანდრ. ქ. საკუთარი სახ.

ექიმი **შალვა კიკოჩაშვილი** იღებს ბავშვთა და შინაგან სნეულ. ავადმყოფთ დღის 12—2 და საღამოს 5—7. მისამართი: თბილისის ქუჩა, № 46. ტელეფ. 87.

დაკარგე

**შაქრის ბარათი** მე ჭომის მცხოვრებმა სოკრატ ნიკოს ძე იობიძემ. მპოვნელს ვსთხოვ მომაწოდოს ზემო ნაჩვენებ მისამართით.

## ვიცნოთ მომენტი!

ვაი იმ გემს, რომლის კაპიტანმა არ იცის მოვალეობა თვისი და საქმე თვისი: ასეთი კაპიტანი გემს უფსკრულს ჩასძირავს და თვითონაც მასთან დაიღუპება. ვაი იმ ერის მესაჭეს, რომელიც ალღოს ვერ აართმევს და ვერ მისცემს ერს შესაფერ მიმართულების ისტორიულ სარბიელს. სარდალს უნდა თვალსაზომი, სისწრაფე და გამბედაობა, ერთს მესვეურს უნდა სწორეთ ცნობა, ცნობა ისტორიული მომენტისა და **დაუყონებლივ** შესაფერი მოქმედება. დაუყონებლივ-მეთქი მიმიტომ მოგახსენებთ, რომ დღევანდელ ჩვენს ცხოვრებაში, როგორც ბრძოლის ველზე, გარემოება ყოველ წუთში იცვლება. რაც შესაძლებელია ამ საათში, ის შეუძლებელი შეიქნება ამ საათის შემდეგ, ჩვენ დრო არ მოგვიცდის: და ამნაირათ დახანებით ჩვენ დავღუპავთ დიდ საქმეს, სამარეს გაუთხრით მის არსებობას, რადგან არ შეგვიძლია წარმოვიდგინოთ იგი მონობაში მყოფი: დღეის შემდეგ საქართველოს მონობაში ყოფნას საქართველოს მოსპობა სჯობია: „სჯობს სიცოცხლესა ნაძრახსა სიკვდილი სახელოვანი" დღეს საქართველოს მესაჭე ქართველი ინტელიგენციაა; ეგ ის ინტელიგენციაა პაწაწინა საქართველოისა, რომლის ერთი ნაწილი სათავეში უდგია ეს ათი-თორმეტი წელიწადია ვეებერთელა რუსეთის განთავისუფლების საქმეს და დიდი სახელი მოუხვეჭა სამშობლოს, როგორც ენერგიული მოქმედებით აგრეთვე პოლიტიკური აზროვნებით; ეგ ის ინტელიგენციაა, რომელიც დღეს ერთხმად და მტკიცეთ ადგია მარტივს და ამასთანავე დიად აზრს, სახელდობრ იმ აზრს, რომ „ჩვენი თავი ჩვენ უნდა გვეკუთვნოდეს", ესე იგი ქართველი ერი უნდა იქმნეს საქართველოს მიწა-წყალზე თავის-თავის გამგე და პატრონი, როგორც ამას აღიარებს ცნობილი ხელშეკრულება ერეკლე მეფისა და იმპერატრიცა ეკატერინესი 1783 წ., რომელი ტრაქტატიც ცნობილია მთელი ევროპის მიერ, როგორც მტკიცე და შეურყეველი საბუთი ჩვენი უფლება-მოსილებისა.

უფლება ეგე დღეს სადავო საგანს არ წარმოადგენს არც ჩვენში, არც ევროპაში და არც თვით რუსეთში: ტყვილად კი არ უნდა ჩავთვალოთ ჩვენ ის გარემოება, რომ მომავალი ქვეყნის ცხოვრება უნდა მოეწყოს ერთა თვით-გამორკვევის წიადაგზე, რომ ჩაგრული ერები უნდა გათავისუფლდენ, როგორც ამას ღაღადებს ყველა მეომარი სახელმწიფო. უმნიშვნელოდ კი არ უნდა ჩაითვალოს ის გარემოება, რომ სრულიად რუსეთის გლეხთა ყრილობაზე რუსეთის ფედერატიულად მოწყობა მოითხოვეს, ხოლო მთელი რუსეთის სოციალ-დემოკრატთა კონფერენციაზე დაადგინეს, რომ ყოველს, რუსეთში მცხოვრებ ერს სრული უფლება აქვს არამც თუ ავტონომიურად მოეწყოს, არამედ სრულიათ ჩამოსცილდეს რუსეთს, თუ ამას მოისურვებსო.

სურვილი ქართველი ერისა ცხადი და ნათელი უნდა იყოს ყველასთვის. ვინ იქნება ისეთი უტიფარი, რომ უარ-ჰყოს ქართველი ერის მისწრაფება თავისუფლებისადმი, ვინ ყოფს უარს ქართველი ერის მიერ „უხვებით დაღვრილ" სისხლს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში, ვინ არ უნდა იცოდეს, რომ ქართველმა ერმა დასწყევლა და დღესაც სწყევლის იმ დღეს და საათს, როცა ძველი რუსეთის ვერაგულ მთავრობას ენდო და უნებლიეთ ჩაუვარდა მას ხელში და ასეთ ნაირათ გადასცდა თავის განვითარების ბუნებრივ კალაპოტს. ეს კარგად ვიცით და კარგად უნდა ვიცოდეთ ისიც, რომ ქართველმა ერმა თავისი ბედი თვითონ უნდა გამოსჭედოს და გამოსჭედოს დღეს, რადგან ხვალ არ ვიცით, რა იქნება. ნუ თუ ამ სანატრელ დროს, როცა ჩვენ იურიდიულად და ფაქტიურად თავისუფალნი ვართ, ორიოდე კაცს უნდა დავავალოთ, რომ პეტრეს ქალაქში ან მოსკოვში კარგათ არ ვიცით, სახელდობრ სად, უნდა იარონ სახვეწნელათ. არა, ვისაც თავისუფლება სურს, მან თვითონ უნდა აიღოს ხელში ეს თავისუფლება.

**გლეხი.**

## ერების ახალი ხანა.

ამიერ-კავკასიის ერობა ახალ ხანაში გადავიდა. როგორც უკვე ვსწერდით შინაგან საქმეთა სამინისტრომ ამიერ კავკასიის საგანგებო კომიტეტს დებულება გამოუგზავნა, რომლის ძალით ერობა ახლავე უნდა განხორციელებულიყო ამიერ-კავკასიაში. ამიერ-კავკასიის რევოლუციური და დემოკრატიული ორგანიზაციები სიხარულით მიეგებენ სამინისტროს ამ სამართლიან განკარგულებას. აქ გამოჩნდა „დაშნაკცუტუნთა" პარტია, რომელმაც „განმარტებითი ბარათი" გამოსცა და ამტკიცებდა, ერობის შემოღება ყოვლად შეუძლებელია, ჯერ საჭიროა ამიერ-კავკასიის ადმინისტრატიული გადამიჯვნაო. დაშნაკელების მიზანი ცნობილია. ამ გზით და ხერხით მათ ამიერ-კავკასიაში ეროვნულ ერთეულ ტერიტორიის შეძენა სწადდათ. გადამიჯვნის წინააღმდეგნი იყვნენ თათრები, ხოლო ქართველები ჯერ კიდევ **1912** წ. აცხადებდენ თავის პროტესტს ამიერ-კავკასიის გადამიჯვნის პროექტზე რომელიც უპირველეს ყოვლისა ქართველების სამტროთ იყო მიმართული.

ამიერკავკასიის საგანგებო კომიტეტს შეიძლება დაშნაკელთა პროექტი გაეზიარებია, ამიტომ იყო, რომ ჩვენი პრესა შიშს გამოსთქვამდა, რაც გუშინდელ ჩვენს გაზეთშიც აღინიშნა, მაგრამ საბედნიეროთ, ასე არ მოხდა. ერობის საქმეს სათავეში ჩაუდგა საქართველოს დემოკრატია, რომელმაც კავშირი დაიჭირა სალათ მოაზროვნე სხვა ერების დემოკრატიასთან. უკანასკნელ საერობო თათბირზე დაშნაკელნი დამარცხდენ, მათი პროექტი გაკოტრდა. გაზ. „ერთობა" აღნიშნავს, რომ სომეხ დაშნაკელთა მოქმედება აშკარა რეაქციული იყო, რის გამოც შესაფერისი პასუხი მიიღესო. გადამიჯვნა უარყოფილ იქმნა, და დადგინდა ერობა დაუყონებლივ განხორციელდეს. არ ვილაპარაკებთ იმის შესახებ, თუ როგორ საჭიროა ამ ჟამათ ჩვენი ცხოვრებისთვის ერობა.

დარწმუნებული უნდა ვიყოთ, რომ ერობას აწ დაბრკოლება აღარ გადაელობება წინ და ხალხს ეღირსება საერობო დაწესებულებები.

სოციალ-დემოკრატიული პარტია უაზრო და ქართველ ხალხის წინააღმდეგ მიმართულ გადამიჯვნას წინაღუდგა. ასეთივე წინააღმდეგობა გაუწია გადამიჯვნის უსამართლო პროექტს ეროვნულ-დემოკრატიულმა პარტიამ.

ამ ჟამათ, ერობა ახალ ხანაში გადავიდა, მისი შემოღება კავკასიის დემოკრატიაზეა დამოკიდებული, რომელიც საქმეს არ დააყოვნებს, და სხვათა შორის საქართველოშიც, რაც შეიძლება მალე, შემოიღებს ერობას.

დაშნაკელთა ტენდენციები კავკასიის ერობას მუდამ, რომ წინ ეღობებოდა, დამარცხდა.

**ი. იმერელი.**

## თანამოაზრე ახალგაზრდებისადმი!

აგერ რვა თვეა მას შემდეგ, რაც სრულიად საქართველოს შვილები დაუფარავად, მზის ნათელ სხივებს ქვეშ იმის კვლევა-ძიების პროცესში იმყოფებიან, თუ რა გზით უშველონ ჩვენს დაავადებულ და **117** წელს ტყვეობაში მყოფ სამშობლო —საქართველოს. ყველამ თავ-თავისი გზა გამონახა და თუ ზოგთათვის საქართველოს განთავისუფლება ერთი საფეხურთაგანი არის მათი საბრძოლველი საგნისა, მეორეთათვის საქართველოს თავისუფლება, მთლიანი, მაღალ-კულტუროსანი, ძლიერი—ეკონომიურად, პოლიტიკურად და სულიერად და ძველებურად თვით არსი საქართველოს აღდგენა, არის მიზანიც, ბრძოლის საგანიც და სიკვდილ-სიცოცხლის კითხვაც. თუ ზოგიერთებს საქართველო და ქართველობა სურთ ინტერნაციონალიზმს ამსხვერპლონ; ჩვენი მიზანი არის მათ შევებრძოლოთ, ჩვენ ვიბრძვით ერისათვის, მისი ყოველმხრივად უზრუნველყოფისათვის. თუ ზოგნი წელში სწყვეტენ საქართველოს ტერიტორიას, ჩვენ მათ ვებრძვით, რათა ქართველობას,

როგორც განსაკუთრებულ ერსს, როგორც მთლიან ერს, მთლიანივე სამშობლო მფარველობდეს.

ბრძოლა დღითი-დღე რთულდება, ახალ-ახალი, ერთი-მეორეზედ მძიმე კითხვები მოაქვს გადასაჭრელად: ამასთანავე მომენტი ისეთია, რომ ერთი წუთით დაგვიანებულ საქმეს, შემდეგ საუკუნოებით ბრძოლა მოუნდება. ამიტომაც იყო, ეროვნულ-დემოკრატიულმა პარტიამ ალლო აუღო ამ რევოლუციას და ლოზუნგად დაისახა იმ თავიდანვე **ახლა, ან არასოდეს**. ეს შეიგნო პარტიის ყოველმა წევრმა და ჩაება კიდეც უთანასწორო ბრძოლაში უთანასწორო, მაგრამ განსაკუთრებულ, წმინდა იდეებისათვის ბრძოლაში. ამ ბრძოლაც სათანადო ნაყოფიც მოგვიტანა და თუ წინედ გლეხობა გაურბოდა ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიას, როგორც ვითომდა „ბურჟუაზიულს“, დღეს ის გამოფხიზლდა, კბილი გაუსინჯა სოციალისტების განუხორციელებელ და ფანტაზიურ დაპირებებს და ჭეშმარიტ გზით სიარულს იწყებს. ჯერ მხოლოდ იწყებს და დაწყებულს გაღრმავება, გაფართოვება ესაჭიროება.

ცხოვრება თავბრუდამხვევის სისწრაფით მიდის წინ და მისი სწორ-კალაპოტში ჩაყენება დიდ ენერგიასა და ამის მატარებელ ახალ გაზრდობას მოითხოვს.

ომისა და ზავის კითხვა, ამათგან გამოწვეული ცხოვრების ვითარება, დაუყოვნებელ მოქმედებას როდი მოითხოვენ. ვინ იცის რა სახეს მიიღებს კავკასიაში ბრძოლის მოხაზულობა. რუსის ლაშქარი —დისციპლინარული ლაშქარი აღარ არის. იგი უფრო დასარბევად და ასაწიოკებლად გამძვინვარებული, ანარქიულად განწყობილი ბრბო არის. ბუმბერაზმა რუსეთმა ისეთი ძალა ვერ შექმნა, რომელსაც ამ უხეში ბრბოსათვის ორგანიზაციული ხასიათის მიცემა შესძლებოდეს.

საერთაშორისო მდგომარეობა ისეთია, რომ აქამდის შეუძლებელი სულ იოლად შესაძლებელი გახდა. პატარა საქართველოს ანგარიშს არავინ უწევდა; მაგრამ რეალურ ძალის გარეშე ისეთი ძალაც ჰქონია ჩვენს სამშობლოს, რომელიც საგონებელში აგდებს დიდ სახელმწიფოებს. ჩვენი ბუნებრივი სიმდიდრე და სტრატეგიული მდგომარეობა იმდონად ტკბილი ლუკმა ყოფილა, რომ ერთნი დიპლომატიურის ხერხით, მეორენი კი ძალით შექმნილ „უფლებით“, ებღაუჭებიან მას. დიდი სახელმწიფოები ჩვენს ხარჯზეც ეჯიბრებიან ერთიმეორეს და ვინ იცის რას გვიქადიან. ამ დროს კი ჩვენში ისეთებიც არიან, რომელთაც არა ჰქონიათ იმოდენი გამჭრიახობა, რომ ამ მდგომარეობით სათანადოთ ისარგებლონ, გაითვალისწინონ ეს მდგომარეობა და რაიმე კონკრეტიული ნაყოფი გამოიღონ ამ მდგომარეობიდან ჩვენი სამშობლოსათვის, ან რაიმე თავდასაცველი ზომები მიიღონ საფრთხის თავიდან ასაშორებლად.

ჩვენს ნორჩს, ახლად შობილ ეროვნულ საპარტიათაშორისო საბჭოს უამრავი მტრები ამოსჩენიან და მის ასაფეთქებლად ჯოჯოხეთის მანქანებს ამზადებენ. ამ საბჭომ უკვე დიდი როლი ითამაშა და მას შენახვა-მოვლა სჭირია; ზურგის გამაგრება და მისი არსებობისათვის ბრძოლაც ჩვენი მთავარი მიზანი უნდა იყოს. ამ ეროვნულმა საბჭომ თავისი მისია ბოლომდე უნდა შეასრულოს და მიგვიყვანოს ეროვნულ, სრულიად საქართველოს კრებამდე. ეს მისი მოქმედების ლოღიკური შედეგი იქნება და შემდეგი მიზნები ეროვნულ კრებას გარდაეცემა განხორციელებისათვის.

აგერ დამფუძნებელი კრებაც მოახლოვდა. ესეც ერთი საშვალებათაგანია ჩვენი ეროვნული წყლულების განსაკურნავად. საცადი უნდა ვსცადოთ და ჩვენი წარმომადგენლებიც უნდა წავიდნენ რუსეთის დამფუძნებელ კრებაზე. მართალია, წინასწარ ეროვნული, სრულიად საქართველოს კრების მოწვევა იყო საჭირო, რათა ქართველი ერის ნებისყოფა გაგვეცნო რუსეთის დამფუძნებელი კრებისათვის, მაგრამ სხვა და სხვა მიზეზებმა ეს სურვილი ეროვნულ-დემოკრატიული პარტიისა ჯერ-ჯერობით ვერ მოიყვანა სისრულეში, თუმცა ესეც ერთი მთავარი საშუალებათაგანი არის ჩვენი ეროვნული მეობისა და რაობა-მოთხოვნილებების გაგებისა. ეროვნული კრების მოწვევა სულ სხვა სიტუაციას შექმნიდა საქართველოში და ჩვენს ტაქტიკასაც სხვა მიმართულებას მისცემდა. ამ კრების მოწვევა სულ ახლო მომავლის საქმე არის და მასაც მზადება სჭირია.

კარგი იყო, რათქმა უნდა, რუსეთის დამფუძნებელ კრებას საქართველოს დამფუძნელი კრება წარძღომოდა წინ, მაგრამ ამას ამ დროული შეუძლებლობა სრულებითაც არ უკარგავს მომავალ საქართველოს ეროვნულ კრებას თვის დიად მნიშვნელობას.

ჯერ ჯერობით კი ჩვენი მთავარი ყურადღება რუსეთის დამფუძნებელ კრებას არა სცდება. ჩვენში მოქმედ პოლიტიკურ პარტიებმა ვერ შეჰქმნეს იმისთანა მდგომარეობა, რომ საერთო, ქართული სია წამოეყენებიათ დამფუძნებელი კრებისათვის. ამიტომ ყოველი მათგანი ცალ-ცალკე გამოდის, მათ შორის ეროვნულ-დემოკრატიული პარტიაც. ხალხი და უფრო კი გლეხობა აშკარად ჩვენსკენ მოიწევს და ეს ხდება იმდონად არა ჩვენი პროპაგანდის გამო, რამდონადაც ქართული ცხოვრების თანდათანობით ჩამოყალიბებით, ნორმალურ პირობების მოახლოვებით. ასეთი ვითარებით ჩვენ მაქსიმალურად უნდა ვისარგებლოთ და მთელი ჩვენი ძალ-ღონე, ენერგია, ჩვენი ცოდნა და გამოცდილება, სულიერი და ფიზიკური ძალღონე ხალხის გამოფხიზლებას უნდა მოვანდომოთ. ჩვენი გონება, გრძნობა და ნება მთლიანად ქართველ ხალხს უნდა შეეწიროს და მის საკეთილდღეოდ იქმნეს გამოყენებული. ჩვენ ეს გვწამს და გვწამს ისიც, რომ ნამდვილი დამცველი ქართველი ერისა, მის სულიერ კულტურულ-ეკონომიურ ფიზიკურ სიმდიდრის შემნახველი იქნება მხოლოდ ეროვნულ დემოკრატიული პარტია.

თუ ეს ასეა ჩვენ არ უნდა დავზოგოთ ძალ-ღონე, რათა რუსეთის დამფუძნებელ კრებაზე ჩვენი წარმომადგენლები მოხვდენ.

ბევრი სხვა მიზნები არის კიდევ სისრულეში მოსაყვანი და ასეთ დროს ჩვენი ძალების თუ გინდ ერთი ნაწყვეტისაც სადმე სხვაგან, საქართველოს გარეშე ყოფნა, შეუნანიებელ ცოდვად მიგვაჩნია.

ამიტომ მივმართავთ ყოველ შეგნებულ პარტიის წევრს ანუ თანამოაზრეს ზიზღით შეჰხედოს ყოველგვარ დაბრკოლებას, რომელიც სამშობლოში ჩამოსვლას უშლის, გადალახოს იგი დაბრკოლებანი და **დაუყოვნებლივ** მობრუნდეს სამშობლოში. საქართველოს გარეშე ყოფნა ამის საჭიროებას სათანადოდ ვერ აშუქებს, ხოლო შინაურ ტაფაში წვა და დაგვა, შინაური მდგომარეობა ამას ჩვენი ცხოვრების მოთხოვნილებათა პირველ რიგში აყენებს.

მაშ კვლავ მოვიწვევთ თანა ზიართა და თანამოაზრეთა, სამშობლოს საკეთილდღეოთ დარაზმულ, ორგანიზაციულ მუშაობისაკენ!

**ინ—ხანი.**

## ქართული პრესა

15 ოქტომბერს გამართულ საერობო თათბირზე სავსებით განმეორდა ის შეურიგებლობა სომხურ პარტიის „დაშნაკცუტუნი“-სა, რომელსაც ადგილი ჰქონდა უწინაც. სომხური პარტია მთელი თავის ძალღონით ებრძვის ერობის შემოღებას ამიერ-კავკასიაში, თუ ერობას წინ არ უძღვის ადმინისტრატიული გადამიჯვნა.

ეხლა როდესაც დემოკრატიამ თავს იდვა ერობის შემოღების ინციატივა, სომხური პარტია ყოველ ღონეს ხმარობს, როგორმე ხელი შეუშალოს მის განხორციელებას და თავის იმედებს ამყარებს პეტრეს ქალაქის კანცელარიებზე. აი რასა სწერს ამის შესახებ გაზეთი „ერთობა“.

ამიერ კავკასიის ერობას მრავალი მტერი გაუჩნდა ჯერ იყო რუსეთის ბიუროკრატია გადაჭრით უარყოფდა ჩვენში ერობის შემოღებას, ეს სეპარატიულ მოძრაობას გამოიწვევსო. მეფის მთავრობა დაემხო, მარა ერობის შემოღებას მაინც არაფერი ეშველა. მას ახალი მტერი გაუჩნდა, ეს არის ნაციონალიზმი სომხის პარტიის დაშნაკცუტუნის მეთაურობით. მან ერობის შემოღებას ადმინისტრატიული გადამიჯვნა დაუკავშირა და შეეცადა კითხვის პეტროგრადის კანცელარიებში გადაჭრას სხვა ერთა და პარტიების დაუკითხავათ. დაშნაკცუტიუნი კავკასიის რევოლუციონურ დემკრატიის უნდობლათ უცქერის. ასეთი მდგომარეობა ერობას კარგა ხნით დასამარებას უქადის. ამას დემოკრატია ვერ შეურიგდება.

ამიერ-კავკასია ამ ხანათ დიდ კრიზისს განიცდის. მრავალი კუთხე ანარქიის მსხვერპლი შეიქნა. ძარცვა-გლეჯა და ყაჩაღობა იზრდება. მართვა გამგეობის მოწესრიგება შეიძლება დემოკრატიული თვითმართველობის შემოღებით და გაძლიერებით, ამიტომაც არის სოციალ-დემოკრატია ერობის დაუყონებლივ შემოღებას მოითხოვს. ინიციატივა ამ ხანათ ამიერ-კავკასიის საგანგებო კომიტეტის წევრმა აკ. ჩხენკელმა იკისრა. მისი თაოსნობით მოხდა პარტიათა და კრების წარმომადგენელთა თათბირი.

სოციალ-დემოკრატია თავიდანვე ადგილობრივ კითხვებში პარტიათა შეთანხმებას ესარჩლებოდა. სხვა ნაირათ არც შეიძლება. ამიერ-კავკასიაში მრავალი ერი ბინადრობს, რომელთა შორის ნაციონალისტების წყალობით დამოკიდებულება ხშირათ მეტათ მწვავეა. სოლიდარობის დამყარება შეიძლება შეთანხმებით და მორიგებით და არა ერთი მეორის დატუქსვით, სწორეთ ასეთ გზას დაადგენ ჩვენი წარმომადგენლებე თათბირზე.

ამიერ-კავკასიაში არსებობს მრავალი მაზრა, სადაც არავითარი გადამიჯვნა საჭირო არ არის: ქუთაისის და ბაქოს გუბერნიები, ბათუმის, სოხუმის და ზაქათალის ოლქები ეროვნულათ ერთგვარ პროვინციებს წარმოადგენენ და აქ გადამიჯვნას არავინ მოითხოვს. ასეთვე უნდა ითქვას თფილისის გუბერნიის უდიდესი ნაწილის შესახებ. აქ ერობის შემოღების გადადება, ვიდრე ერევნისა და განჯის გუბერნიებში გადამიჯვნა დამთავრდებოდეს, ეს იქნებოდა დემოკრატიის ინტერესთა ფეხ-ქვეშ გათელვა, ამიტომაც იყო თათბირზე ჩვენ მოვითხოვეთ ერობის დაუყონებლივ შემოღება იმ ადგილებში, სადაც გადამიჯვნა საჭირო არ არის. ამას წინაღდუდგა დაშნაკცუთუნები. გადამიჯვნა მან ერობის წინასწარ პირობათ წამოაყენა.

რამოდენიმე მაზრაში საჭიროა საზღვრების შეცვლა შემოცვლა და სანამ ეს დამთავრდება, მთელი ამიერ-კავკასია უერობოთ უნდა დარჩეს. ასეთია დაშნაკცუთუნის პოლიტიკა. დეე მთელი ამიერ-კავკასია ანარქიისა და ძალადობის მსხვერპლი შეიქნეს, ოღონდ დაშნაკცუთუნის მიერ შემუშავებული გადამიჯვნის პროექტი განხორციელდეს. დაშნაკცუთუნი მუდამ რეაქციონურ როლში გამოდის.

თათბირმა ჩვენი წინადადება მიიღო. ერობა დაუყოვნებლივ შემოღებულ იქნეს იქ, სადაც გადამიჯვნის არავინ მოითხოვს, მარა საჭიროა ერობის დაჩქარებით შემოღება ერევნის და განჯის გუბერნიებში და ყარსის ოლქშიაც. აქ წინასწარ საჭიროა გადამიჯვნის განხორციელება, ვინაიდან ასეთია მცხოვრებთა საგრძნობი ნაწილის სურვილი. აქ შეთანხმება აუცილებელი პირობაა კითხვის გადაჭრისათვის მარა ამას წინ ეღობებიან მუსულმანი ნაციონალისტები. ისინი წინააღმდეგი არიან გადამიჯვნისა და ერობის ძველ ადმინისტრატიულ საზღვრებში შემოღებას ესარჩლებიან. სოციალ-დემოკრატიის წარმომადგენელთა გამ ასვლის შემდეგ მუსულმანები იძულებული შეიქნენ პრინციპიალურათ გადამიჯვნის საჭიროება აღიარონ და ამ გზით შეთანხმების გზა აირჩიეს გადამიჯვნის განხორციელება უნდა დაეკისროს ამიერ-კავკასიის საგანგებო კომიტეტს, რომელთანაც განსაკუთრებული კომისია დაარსდა ეროვნებათა წარმომადგენელთაგან. გადამიჯვნა ერთ თვეში უნდა დამთავრდეს.

ამით ერობის შემოღებას ამიერ-კავკასიაშიც მკვიდრი სამუძველი ეყრება. მარა ეს ხომ დაშნაკელთა პოზიციის უარყოფაა, მათი მიზანია არა მორიგება და შეთანხმება, არამედ ეროვნული ბრძოლის გაღვივება და ურთიერთ დამოკიდებულების გამწვავება. ამიტომაც იყო დაშნაკელებმა თათბირი დასტოვეს და ამით ყველასათვის ნათელყვეს, რომ ისინი რევოლუციონურ დემოკრატიასთან თანამშრომლობას გაურბიან და ძველ ზინვორულ, ანუ ძალდატანებაზე აშენებულ პოლიტიკას მისდევენ. დაშნაკცუთუნი ამიერ-კავკასიის დემოკრატიის წინააღმდეგ ერთხელ კიდევ ამხედრდა.

დემოკრატიის ვალია გადამიჯვნის დაჩქარებას და ერობის შემოღებას ხელი შეუწყოს და მით ამიერ კავკასიის ცხოვრება წესიერ კალაპოტში ჩააგდოს ამ შემთხვევაში დემოკრატიის გამარჯვება დაშნაკცუთუნის დასამარება იქნება.

## რუსეთის რესპუბლიკის საბჭო.

**ოქტომბრის 13 სხდომა.**

(გაგრძელება).

თავმჯდომარის ალაგს ამხანაგი **კროხმალი** იჭერს.

**ბოგდანოვის სიტყვა.**

ბოგდანოვი თავდაცვის კომისიის სახელით აცხადებს, რომ კომისიამ მოისმინა მთავრობის მოხსენება პეტროგრადის ევაკუაციის შესახებ. ვინაიდან ეს საკითხი კომისიას მეტად რთულად მიაჩნია, სასურველად სცნობს იგი ამ სხდომაზე განხილულ იქმნას მხოლოდ ერთი პოლიტიკური საკითხი, სახელდობრ: საჭიროა და შესაძლოა თუ არა მთავრობის და მის დაწესებულებათა პეტროგრადიდან გადატანა? კომისიის სახელით ბოგდანოვი წინადადებას აძლევს რესპუბლიკის საბჭოს, რომ მიიღოს ყოველივე ზომები პეტროგრადის დასაცავად, დარჩეს პეტროგრადში ვიდრე სამხედრო საფრთხე არ დაადგება თავს და დამფუძნებელი კრებაც პეტროგრადს მოიწვიოს. მთავრობამ ამის გამო შესაფერ მოწოდებით უნდა მიმართოს მცხოვრებლებს. (ტაში).

**ჩერევანინის სიტყვა.**

ჩერევანინი მენშევიკების შეერთებულ ფრაქციის სახელით სიხარულს გამოსთქვამს, რომ მთავრობა პეტროგრადიდან ამ ჟამად არა თუ წასვლას არ აპირებს, არამედ დამფუძნებელ კრების მოწვევაც პეტროგრადში აქვს განზრახული მაგრამ, ვინაიდან ევაკუაცია სატახტო ქალაქის მცხოვრებთა ფართე მასასაც სწვდება, მთავრობამ უნდა შეიმუშავოს პროექტი მუშათა მდგომარეობის უზრუნველ საყოფად. პროექტი თავდაცვის კომისიას უნდა წარუდგინოს. ამასთან სასურველია, რომ იგი შრომისა და სახალხო მეურნეობის მომწყობ კომისიის თან დასწრებით იქმნას განხილული.

**პოკროვსკის სიტყვა.**

პოკროვსკი სოციალისტ-რევოლუციონერთა ფრაქციის სახელით, აღნიშნავს, რომ ფრაქცია სრულიად იზიარებს თავდაცვის კომისიის მიერ ევაკუაციის შესახებ გამოტანილ დადგენილებას და საჭიროდ სცნობს, თუ სამხედრო გარემოება აიძულებთ, პეტროგრადის ეკონომიურ ევაკუაციის გეგმის შემუშავებას.

**კერენსკის სიტყვა.**

მინისტრ თავმჯდომარე აცხადებს. მთავრობა იმუშავებს შესაფერ გეგმებს მუშათა უზრუნველსაყოფად. ამასთან კერენსკი დასძენს, რომ დროებითი მთავრობა ამ საკითხზე რესპუბლიკის საბჭოს თავის გარდაწყვეტილებას მოახსენებსო. შემდეგ კერენსკი შეეხო პეტროგრადის გაზეთების ცრუ ინფორმაციას და აღნიშნა, რომ პრესის სრულ თავისუფლების გამო მთავრობა მოკლებულია საშუალებას გაზეთების ცრუ ინფორმაციას ებრძოლოსო. მინისტრ-თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ ასეთი ინფორმაცია პრივილეგიად გაიხადა, არა თუ მარტო „ნოვაია რუს“-მა, არამედ მოწინააღმდეგე პრესამ, სახელდობრ „რაბოჩაია პუტ“-მა. აქ ამბობენ, რომ მცხოვრებლები აღელვებული არიან ოქტომბრის 20-ს ყრილობის სხვადასხვა საკითხების გამო. მე კი უნდა გაგიცხადოთ, რომ თავზ რდასაცემს დროებითი მთავრობა არას ხედავს. ყოველივე გამოსვლა თუ კი ის უმრავლესობის და დროებით მთავრობის წინააღმდეგ იქნება მიმართული—ღირსეულ წინააღმდეგობას შეხვდება. (ხმები „ვაშა!“ ტაში). კერენსკი აღნიშნავს, რომ „რაბოჩი პუტ“-ის მოწინავე წერილებს ჰგავს. მინისტრ-თავმჯდომარე იგონებს მე-4 სახელმწიფო სათათბიროს და ამბობს: მე-4 სახელმწიფო სათათბიროს ორატორები, სცდილობდენ რა სიმართლეს თქმას—ბუნდოვანად სახავდენ აზრებს—განსაკუთრებით უმაღლეს მთავრობაზე ლაპარაკის დროს—ასე, რომ კაცს დიდი ცდა სჭირდებოდა გამორკვეულიყო და ნათელი აზრი გამოეტანა თუ რაზედ იყო ლაპარაკი. ჩვენ ახლა ლაპარაკი არ შეგვიძლიან. ჩვენ ვერ ვიტყვით, რომ ვიღაცას საითკენღაც მიჰყავს მასსა —ჩვენ არ ძალგვიძს ერთი მხარე გახახელოთ და მეორე ამოცანად დავტოვოთ. მე პირადად შემწევს გამბედაობა, რომ ყველასათვის გასაგებად ვსთქვა: ქალაქში უსაფუძვლო პროვოკაციის გავრცელება ბოლშევიკების ორგანოა. (ტაში) უსაფუძვლო პროვოკაცია—ნაყოფია იმ ელემენტების კავშირისა, რომლებიც დემოკრატიის ზედ-მდგომარეობას მოსწყდნენ და მშრომელ მასასაც ჰბილწავენ. (ტაში). მთავრობა მირბის, მთავრობას ჰსურს ქალაქი გერმანელებს მიჰყიდოს—აი მათი ლოზუნგები. პეტროგრადის მცხოვრებლებს შანტაჟის ფართე ქსელში უხდება იმედების კარგვა და რესპუბლიკის საბჭომ ეს ფართე ქსელი უნდა მოსპოს, უნდა გაჰფანტოს ეს სულის მხუთავი, აუტანელი ატმოსფერა (ტაში ცენტრში და მარჯვნივ). საჭიროა საერთო მტრის აღმოჩენა და მე უნდა გითხრათ, რომ თავისუფლებას იმათზე საშინელი მტერი არ ჰყავს, ვინც ვითომც და აღრმავებენ რევოლუციას, ნამდვილად კი იმდენად გარყვნეს მასსა, რომ მთავრობასთან ბრძოლა პოგრომებში ვერ გაურჩევიათ; მათ დაივიწყეს რომ რუსეთი ქვეყნის ასპარეზზე უმანკოთა სისხლში ხელ გაუსვრელად გამოსვლისათვის მრავალ წლობით იბრძოდა. (ხმები მარჯვნივ „ვაშა“, ხანგრძლივი ტაში ცენტრში, მარჯვნივ და მარცხნივ). დასასრულ კერენსკიმ განაცხადა: „ჩვენ ველით რომ თვით მცხოვრებლებმა შეიგნონ პრესის სიცრუვე და სიძულვილით უარჰყონ იგი (ტაში.

## რევოლუციის ამბები.

პ. დ. ს.

დეპეშები.

**გერმანელები და რუსის სოციალისტები.**

**პეტროგრადი.** ოქტომბერს 15. სამხედრო სამინისტროში მოიტანეს რუსეთის სოციალ დემოკრატიულ მუშათა პარტიის საზღვარგარეთის ცენტრალ კომიტეტის მიერ გამოცემული მანიფესტი, რომელიც შეიარაღებულ გამოსვლისათვის მოწოდებას შეიცავს.

**ბოლშევიკურ გაზეთის განახლება.**

ოქტომ. 15. განახლდა ბოლშევიკების გაზეთი „ოკოპნი ნაბატი“.

**მატარებლის დამსხვრევა**

**მინსკი.** ოქტომბერს 15. სადგურ ბორისოვთან მატარებელი დაიმსხვრა. დაიჭრა 25 კაცი. მათში 5 სასიკვდილოდაა.

**პეტროგრადის დაცვა**

**პეტროგრადი.** ოქტ. 14. პეტროგრადის მისავალების დაცვა გადაწყვეტილია მუშათა და ჯარის კაცთა ცენტრალ აღმასრულებელ კომიტეტის სამხედრო ნაწილს მიანდონ. სამხედრო, პოლიტიკურ და პროფესიონალ ორგანიზაციებს ფართოდ მოიშველიებენ.

**პეტროგრადის ბოლშევიკების განზრახვანი**

**მოქმედი ლაშქარი.** ოქტომბრის 15. მე-12 ლაშქრის დეპუტატთა საბჭოს აღმასრულებელმა კომიტეტმა დეპ. საბჭ. ცენტრალ აღმასრულებელ კომიტეტს შემდეგი დეპეშა გაუგზავნა: „პეტროგრადიდან ხმები მოდის, რომ იარაღით აპარებენ ძალა უფლების საბჭოების ხელში გადაცემისა და გერმანელთა ახალი შემოტევის შესახებ. ველით პურს, იარაღს და ხალხს. დღევანდელ ხანაში ამბოხება, უწესოება და სამოქალაქო ომი მოღალატეობას უდრის და ეჭვი არაა გერმანელთა პროვოკაცია გამოიყენებს.

**უწესოება ფეოდოსიაში**

**ფეოდოსია.** ოქტომ. 14. ორმა როტამ აიოხრა (?) ყაზარმებსა და ქალაქის შორის მიმოსვლა შესწყდა. წესიერების აღსადგენად მოვიდა კრეისერი, საგუბერნიო მთავრობა და სამხედრო კომიტეტების წარმომადგენლები.

**მღელვარება ნიჟნი-ნოვგოროდში.**

**ნიჟნი-ნოვგოროდი.** ოქტომ. 10. ქალაქში მღელვარებამ იჩინა თავი. ამის გამო მიტინგები და შარა-გზებზე კრებები აიკრძალა.

**მეზღვაურებისა და ჯარისკაცების ძალმომრეობა**

**ჰელსინგფორსი.** ოქტ. 15. საოლქო კომიტეტმა მეზღვაურთა და ჯარის-კაცებისადმი მოწოდება გამოსცა, რომელშიაც მიმართავს გაანებონ თავი ძალმომრეობას. მოწოდებაში აღნიშნულია, რომ დამნაშავეებს სასტიკათ დასჯიან.

# ეროვნული კითხვა.

**ირლანდიის საკითხი საზავო კონგრესზე**

**დუბლინი.** ოქტომ. 13. განიხილა სინფეინერთა კონვენტის სხდომები. კონვენტმა მიიღო რეზოლუცია შესახებ იმისა, რომ საზავო კონგრესზე ირლანდიის საკითხის განხილვის დროს ინგლისს ზარალის ანაზღაურება მოსთხოვონ.

**პოლონეთის სარეგენტო საბჭო.**

**კოპენჰაგენი.** ოქტომ. 15. ვოლფის სააგენტოს ცნობით ვარშავის სამეფო სასახლეში დიდის ზეიმით დაარსეს სარეგენტო საბჭო, რომლის წევრებიც მაშინვე დაფიცეს.

**ყაზახები და მთიელები**

**პეტროგრადი.** ოქტომბრის 14. სრულიად რუსეთის მაჰმადიანთა საბჭოს თავმჯდომარე წადიკავმა ყაზახთა და მთიელთა შეკავშირების გამო უკანასკნელთ ლია წერილი გაუგზავნა, რომელშიაც ნათქვამია: „მთიელ ხალხთა წარმომადგენლებმა მთიელთა ბედი ყაზახებთან კავშირს ჩააბარეს. ამის შედეგები სამწუხარო იქნება მთიელთათვის, რომელნიც ამით ყაზახთა პოლიტიკის ორიენტაციაში არიან ჩართულნი; ეს პოლიტიკა კი ეწინააღმდეგება რევოლუციონურ დემოკრატიას: ყაზახებთან შეკავშირება ჰნიშნავს დაშორებას რევოლუციონურ დემოკრატიისაგან, რომელიც ერთად ერთი მეგობარია აღმოსავლეთის ხალხებისა, და მთიელთა გაშორებას მთელი ისლამისაგან, რომელიც მხოლოდ მშრომელ დემოკრატიის გამარჯვებაში ჰხედავს აღმოსავლეთის ხალხთა იმპერიალიზმისაგან განთავისუფლებას.

# უ ც ხ ო ე თ ი

**პეკინი** 14 ოქტომბერი. გირინის პროვინციის ჯარმა უარი განაცხადა მიიღოს მთავრობის განკარგულება ჯარების უფროსის გადაყენების შესახებ, მათ პროვინცია დამოუკიდებლათ გამოაცხადეს. მთავრობის ჯარსა და **ხუნევის პროვინციის** რევოლრციონურ ჯარს შორის შეჯახება გრძელდება.

**მადრიდი** 11 ოქტომბერი. კაბინეთმა „გადადგომა ქაღალდი შეიტანა. კოროლი შეთანხმებას ახდენს პოლიტიკურ მოღვაწეებში.

# ზავის გარშემო

**საფრანგეთის რადიკალები**

**პარიზი.** ოქტრმბრის 11. რადიკალურ პარტიის კონგრესმა შეიმუშავა დეკლარაცია, რომელიც მოითხოვს ომის ლოლიკურ დასკვნამდე მიყვანას, ელზას-ლორენი ფორმალურად აღარ უნდა ჩაითვალოს გერმანეთის კუთვნილებად, აღნიშნავს ფრანგთა ჯარის გმირობას და სალამს უძღვნის ეროვნებათა კავშირის იდეას.

**გერმანეთის დიპლომატიის ვალდებულება**

**პარიზი.** ოქტომბრის 15. ლეპუტატთა პალატაში ბარტუმ განაცხადა: დემოკრატიას ჰგონია თითქოს საკუთარ ბედს იგი თავისუფლად განაგებს, ნამდვილად კი ის შებორკვილია საიდუმლო ხელშეკრულებებით, ჯერ კიდევ დეკემბერში განვაცხადე, რომ ეს ყოვლად შეუწყნარებელიაო, საფრანგეთი 7 წელიწადი იყო შებორკილი. საფრანგეთს უფლება აქვს იცოდეს თვის ხელშეკრულობის შინაარსიო. ბარტუმ მოიყვანა რუსეთის რესპუბლიკის საბჭოში ნათქვამი კერენსკის სიტყვა რუსის ჯარის აღდგენისა და ომის გაგრძელების შესახებ და თავის გულისწყრომ გამოჰხატა იმ აზრის გამო, თითქოს ახალ რუსეთს უფრო ნაკლები ნდობით უნდა მოეპყრან, ვიდრე თვითმპყრობელ რუსეთს და კმაყოფილებით აღნიშნავს, რომ არავის არა სწადია რუსეთის თავის თავის ინაბარად მიგდება.

**პარიზის კონფერენცია**

**პეტროგრადი.** ოქტომკრის 14. პარიზის კონფერენციაზე წასვლაზე გენ. ალექსეევმა უარი სთქვა. მის მაგივრად სამხედრო აკადემიის გენ. გოლოვინს ჰგზავნიან.

**ავსტრიის სლავიანები და სკობელევის ნაკაზი**

**პეტროგრადი.** ოქტომბრის 19. სამხრეთ რუსეთში მყოფ სერბეთის, მთაშავეთის და ბოსნია-ჰერცოგოვინის სლავიანებმა საზოგადო კრებაზე იქონიეს მსჯელობა სკობელევის საზავო ნაკაზზე და დაადგინეს, დეპ. საბჭოების ცენტრალ აღმასრულებელ კომიტეტს მიუთითონ იმაზე, რომ სამხრეთის სლავიანთა პრობლემის გადაწყვეტას არ შეფერება სოციალისტურ და საერთო დემოკრატიულ და საერთაშორისო ინტერნაციონალურ პრინციპებს, რომლებიც რუსეთის რევოლუციონურმა დემოკრატიამ აღიარა. ამას განაცხადებენ ბოსნია ჰერცოგოვინის სოციალ დემოკრატების სახელით. განცხადება შეეხება ნაკაზის იმ ადგილებს, სადაც ნათქვამია, რომ სამხრეთის 12 მილიონმა სლავიანობამ თვითგამორკვევის პრინციპის თანახმად უნდა შეადგინოს სუვერენული სახელმწიფო და ადრიატიკულ ზღვის აღმოსავლეთი ნაპირი, თუმცა იქ მოსახლე ერებს უნდა მიეკეს, მაგრამ ყველა ხალხისათვის უნდა იყოს გახსნილიო.

**მოსკოვში შესვლის შეზღუდვა**

**პეტროგრადი.** ოქტომბრის 14. ოქტომბრის 17-დან მოსკოვში შესვლა მხოლოდ საგანგებო ნებართვით შეიძლება.

# მსოფლიო ომი.

პ. დ. ს.

**დ ე პ ე შ ე ბ ი.**

**აღმოსავლეთის ფრონტი.**

**პეტროგრადი.** ოქტომბრის 16. ოფიციალი. **ყველა ფრონტებზე** სროლაა. ზისტრიცის მიმართულებით ქალაქ ლამუნტელუს რაიონში ავსტრიელების ჯგუფი ოფიცრებითურთ შეეცადნენ ჩვენს თხრილებს მოახლოვებოდნენ დასაძმობილებლად. მაგრამ ჩვენი არტილერიის ცეცხლით გავფანტეთ.

**მფრინავთა მოქმედება.** რუმინეთის ფრონტზე ოქტომბრის 15-ს 12 ს. და 36 წუთზე ჩამოაგდეს ჩვენი ჰაეროპლანი. ჰაეროპლანი ჩამოვარდა სოფელ ოპრიჩენის რაიონში, ქალაქ სერეტის ჩრდილოეთით 10 ვერსზე. ავიატორი პეტუხოვი და მზვერავი კასატკინი დაიღუპნენ. დობრუჯაში ოქტომბრის 14-ს ჩვენმა ჰაეროპლანებმა ქალაქ ტულცის სამხრეთ აღმოსავლეთით მდებარე სოფლებში დაბანაკებული მტრის ნაწილებს 40 ყუმბარა ესროლეს.

**ბალტიის ზღვა.** ფინის ყურის რაიონში ბრძოლა არ ყოფილა. ოქტომბრის 13-ის ღამის განმავლობაში გერმანელებმა ნახევარი კუნძული ვერდერი დასცალეს. მიზა ვერდერი დასწვეს. სურსათი გაიტაცეს. დანარჩენი ფრონტი უცვლელადაა.

**ოეზელის ალების მნიშვნელობა**

**კოპენჰაგენი.** ოქტომ. 14. გერმანული გაზეთები სწერენ, ბალტიის ზღვა ან ინგლისს უნდა ეკუთვნოდეს. ან გერმანეთსო. ამიტომ სამხედრო თვალსაზრისით კუნძულის დაპყრობას ის პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს, რომ ბალტიის ზღვაზე გერმანეთის გაბატონებას უზრუნველჰყოფსო.

**სადისციპლინო სასამართლოს შემოღება.**

**პეტროგრადი.** ოქტომბრის 14. სამხედრო სამინისტროს პოლიტიკურ ნაწილში მოკლე ხანში გაათავებენ სადისციპლინო სასამართლოს და დასასჯელი პოლკების დასაარსებლად დებულებების შემუშავებას.

**განმარტებაში პეტროგრადის დაცლის შესაებ.**

**პეტროგრადი.** ოქტომბრის 14. ჩრდილოეთის ფრონტის მთავარსარდალმა გაიწვია პეტროგრადის მეციხოვნე ჯარის წარმომადგენლები, რათა მათ აუხსნას, თუ რა აიძულებს მას შეუდგეს პეტროგრადის მისავალების დაცვას.

**იაპონელების ჯარი.**

**ტოკიო.** ოქტომ. 14. ოპოზიციის ბელადმა კატომ თავის სიტყვაში იაპონიის ჯარის ევროპაში გაგზავნის შესახებ სთქვა, ეს საჭირო არ არის, რადგანაც მოკავშირეების გამარჯვება ყოველ ეჭვს გარეშეა.

**გერმანელთა დესანტის ამბავი.**

**კოპენჰაგენი.** ოქტომბრის 15. „ჰამბურგერ ფრემდენ ბლატ"-ის კორესპონდენტი შემდეგს ამბობს მოონის ალების შესახებ: გერმანელებმა კუნძულ მოონზე 400 კაცი გადასხეს, რომლებიც რუსი ბრიგადისაგან ნახევარი საათის სავალზე დაბანაკდნენ. რუსების ბრიგადა ის იყო საჩქაროდ გადმოიყვანეს ხმელეთიდან კუნძულზე. რუსის ბრიგადამ თათბირის შემდეგ დაადგინა: არ ებრძოლნა. მხოლოდ 1 ნახევარმა როტამ და სიკვდილის ბატალიონმა დაადგინა ბრძოლაში მონაწილეობა მიეღო. გერმანელები იძულებულნი გახდნენ მათს წინააღმდეგ მთელი პოლკი გაეგზავნათ. გერმანელებს დესანტი ლიბავაში მოემზადებინათ. გერმანელებს მთავარი ძალები ღამე გადმოუსხამთ პროჟექტორების განათებით.

**ამურის ფლოტის გაფიცვა.**

**ბლაგოვეშჩენსკი.** ოქტომბრის 14. დაიწყო ამურის ფლოტის მოსამსახურეთა გაფიცვა. მოითხოვენ 750 ათას მანეთის მომატებას. მეამბოხენი ხომალდებზე არ უშვებენ, მოლაპარაკების შემდეგ დათანხმდენ 8 კაცი მიუშვან, რომ ქვაბები არ დაყინოს. მაგრამ 115 ხომალდზე 8 კაცი რას გააწყობს. ამურის ფლოტის მდგომარეობა კრიტიკულია.

**ბალტიის ზღვაზე**

**პეტროგრადი.** ღვინობ. 14 ფინიყურის რაიონი უცვლელია. კუივასტიდან გამოემართა მტრის ერთი კრეისერი, 8 საესკადრო ნაღმოსანი და 2 ტრანსპორტი მიუახლოვდა კუნძულ კიუნეს და სამხრეთ ნაპირებს სროლა აუტეხა. კუნძულ ვერდერის მარჯვენა ნაპირზე გერმანელები შეეცადნენ მავთულის ხლართების გაკეთებას. მაგრამ ჩვენმა არტილერიამ ნება არ მისცა. დანარჩენ ფრონტზე მოქმედება არ ყოფილა.

# უკანასკნელი დეპეშები.

ფინანსთა მინისტრის დადგენილებით საზღვარგარეთ ოქროს გაზიდვა აკრძალულია. ვინც გასაზიდ ოქროს ამოაჩენს მას 50 პროცენტი მიეცემა ამ ოქროს ღირებულებისა.

რკინისგზებისთვის სათბობი მასალების უქონლობისგამო, გაზიდვის საგანგებო თათბირმა დაადგინა სამგზავრო და საბარგო მოძრაობა შეასუსტოს.

ქალაქ მოსკოვიდან ხალხის თავისუფლების პარტია დამფუძნებელ კრებისთვის შემდეგ კანდიტატებს ასახელებს: ფ. ფ. კოკოშკინს, ვ. ა. მაკლაკოვს, ნ. ი. ასტროვს, პ. ი. ნოვგოროდცევს, ა. ა. კიზევეტტერს, პ. პ. იურენევს ა. ა. მანუილოვს, ნ. ტესლენკოს, ნ. კიშკინს და წ. შჩეპკინს.

პლეხანოვი დამფუძნებელ კრებაში ასარჩევათ ხუთ ბლოკს დაიდგამს ყუთს.

ცნობილი მილიონერი ნ. პარამონოვს ავტომობილი როსტოვსა და ნოვოჩერკასკს შორის დაიმსხვრა საჯარო ავტომობილთან შეჯახებით. პარამონოვი საგრძნობლათ დაშავდა. ის ნოვოჩერკასკში მოათავსეს გამოწვეულია ექიმი პროფესორი ნაპალკოვი როსტოვიდან.

ნიჟნი ნოვგოროდში ხალხის მღელვარების გამო კრებები და მიტინგები აიკრძალა.

რიგაში მანეთიანი 62 კაპ. ღირს.

იაპონიის ბელადი კატო წინაღმდეგია რომ ჯარი ევროპაში გაიგზავნოს, რადგანაც მოკავშირეები იაპანიის ჯარის დაუხმარებლათაც გაიმარჯვებენო.

ბლაგოვეშჩენსკში ამერიკის ფლოტის მოსამსახურეები გაიფიცნენ.

ერთმა შტაბთაგანმა კორპუსებს დაუგზავნა ბარათები წარწერით: „საიდუმლოდ". ბარათებში ტყვეობიდან გამოქცეულ ჯარის კაცის ცნობაა იმის შესახებ, რომ ავსტრიის მთავრობამ უკრაინელთა რადასთან მოლაპარაკება დაიწყო სეპარატიულად ზავის ჩამოგდებაზეო.

კიევში ანარქისტებმა მეპურეების შენობა დაიჭირეს და მოწოდებით მიჰმართეს ხალხს: მოახდინეთ სახლებისა, ქარხნებისა თუ სხვა რამ საწარმოების ექსპროპრიაცია.

# ახალი ამბავი.

**ქ უ თ ა ი ს ი.**

**ქუთაისის სასამართლოს გარშემო.** გუშინდელ ჩვენს გაზეთში მოთავსებული გვქონდა ცნობა, რომ ქუთაისიდან გაძევებული სასამართლოს ყოფილი თავჯდომარე ნიკიტინი ჩამოვიდა და ცდილობდა სასამართლოს საქმეები თავისებურათ მოეწყო. ამისთვის 17 ოქტომბრისათვის განზრახული ჰქონდა მოეწვია სასამართლოს მოსამსახურეთა კრება და სასამართლოს თავმჯდომარე აერჩიათ. ეს გაიგო გუბერნიის აღმასრულებელმა კომიტეტმა და 17 ოქტომბერს, დღის 12 საათზე ნიკიტინს და მის მეგობრებს ბელოუსოვს, ბატალინს, ჩიჟოვს და ბროკოვიჩს წინადადება მისცა, რომ 24 საათის განმავლობაში ქუთაისის გუბერნიის საზღვრები დაეტოვებიათ, წინააღმდეგ შემთხვევაში დაპატიმრებულ იქნებიან და გაძევებული კავკასიის საზღვრებიდან. გუშინ ამ პირებმა აღმასრულებელ კომიტეტს სთხოვეს ერთი დღის ვადა წასვლისათვის მოსამზადებლათ.

◆ **სვანების თხოვნის უარყოფა.** ერთი თვის წინათ ზემო-სვანეთის წარმომადგენელმა შუამდგომლობა აღძრა, რომ 1 და 2 ხარისხის რატნიკები სვანეთიდან არ წაეყვანათ, რადგან მათი წაყვანა მცხოვრებთ დიდ გაჭირვებაში ჩააგდებდა ამის შესახებ ამიერ-კავკასიის საგუბერნიო კომიტეტის წევრი ხარლამოვი ატყობინებს გუბერნიის კომისარს, რომ სვანების თხოვნა ვერ იქნა დაკმაყოფილებული.

◆ **სამაზრო ინსპექტორების შესახებ.** დღეს მოხდება საგუბერნიო აღმასრულებელ კომიტეტისა და დასავლეთ საქართველოს სახალხო მასწავლებელთა კავშირის გამგეობის შეერთებული კრება სამაზრო ინსპექტორების არჩევის შესახებ.

◆ **ამიერ-კავკასიის** სამასწავლებლო საქმეთა კომისარი ნათაძე დეპეშით სთხოვს ქუთაისის ქალაქის თვითმართველობას, გაარჩიოს კორძაიას ქალის სასწავლებელში მომხდარი ინციდენტი და თავისი შეხედულობა ამ საქმის შესახებ აცნობოს სამოსწავლო კომისარიატს.

◆ **დრამატიულ საზოგადოებაში.** ქუთაისის დრამატიულ საზოგადოების თავმჯდომარეთ არჩეულ იქმნა ა. ფიღავა თავჯდომარის ამხანაგათ ი. ჰურადაშვილი და მოლარეთ პ. უზნაძე.

◆ **პური.** გუშინ ქუთაისში გამომცხვარი პური არ იშოვებოდა.

◆ **დამფუძნებელი კრების** ქალაქის საარჩევნო კომისიამ დაადგინა: 1) წინადადება მისცეს ქუთაისში არსებულ ყველა პოლიტიკური პარტიას, რომ კომისიის შემადგენლობაში გამოგზავნოს თითო წარმომადგენელი; 2) საარჩევნო სიების შევსება გაგრძელდეს 19 ოქტომბრამდის, 20 ოქტომბერს კი ეს სიები გამოქვეყნდეს 3 საარჩევნო უბნებში: ცენტრალურ უბნისათვის ქალაქის თვითმართველობის დარბაზში, სამთო უბნისთვის—რეალური სასწავლებლის დარბაზში და წყალ-გაღმა უბნისთვის—ქართულ გიმნაზიის დარბაზში და 3) თანახმათ რიონის სიდგურის მოსამსახურეების თხოვნისა, რიონის სადგურის მოსამსახურეები მიეწეროს ქუთაისის საარჩევნო უბანს.

◆ **მატყლი.** კავკასიის საოლქო სასურსათო ხამმართველო ატყობინებს ქუთაისის სასურსათო კომიტეტს, რომ კერძო პირებს ნება მიეცათ, შეეძინათ 19.978 ფუთი მატყლი, მხოლოდ სასურსათო სამმართველო ფიქრობდა, რომ მატყლის ნაცვლად მიიღებდა ქუთაისიდან ადგილობრივ შალს, მაგრამ ჯერ არ მიგვილიაო. რადგანაც შალის დიდი მოთხოვნილება ყოფილა. კავკასიის საოლქო სასურსათო კომიტეტს განზრახვა ჰქონია, შალის დამზადება შეუკვეთოს ამიერ კავკასიის კოოპერატივთა კავშირს.

◆ **20,000 მანეთის მიღება.** დამფუძნებელი კრების მომწყობმა ქუთაისის საგუბერნიო კომიტეტმა ამიერკავკასიის ცენტრალურ კომიტეტიდან მიიღო 20,000 მანეთი დამფუძნებელი კრების მოსაწყობ ხარჯების დასაფარავათ.

◆ **პროვაკატორების საქმეების** გარჩევა მიენდო მუშათა საბჭოს. გასარჩევია სულ 11 კაცის საქმე. მათ რიცხვში შედის ყოფილი პოლიცმეისტერი მახარაძეც.

◆ **დეპეში.** დამფუძნებელი კრების მომწყობმა ქალაქის კომისიამ ამიერ-კავკასიის ცენტრალურ კომიტეტს შემდეგი დეპეში გაუგზავნა: თანახმათ სადგურ რიონის მოსამსახურეთა წერილობითი თხოვნისა ქალაქის საარჩევნო კომისია შუამდგომლობს, რომ რიონის სადგურის მოსამსახურეები ჩარიცხულ იქმნენ ქუთაისის საარჩევნო უბანში, რადგანაც მათი საარჩევნო უბანი შორს იმყოფება და არჩევნებში მონაწილეობას ვერ მიიღებენ.

◆ **შეშა.** ქალაქის თვითმართველობის გამგეობამ დაადგინა მიეცესთ თვითმართველობის მოსამსახურეებს შეშის საფასი 90 მანეთად.

◆ **თეატრი.** დღეს ქალაქის თეატრში საზოგადოების თხოვნის თანახმად ხელ-მეორეთ წარმოდგენილი იქნება ნ. [illegible]შვილის პიესა „სულელი".

◆ **[illegible].** [illegible] ბინებენ-სენაკ-სოჩის გზაზე დღე ისე არ გაივლის, რომ ბოროტ გამზრახველებმა ვინმე არ გაძარცვონ. ამის გამო გუბერნიის კომისარმა გრ. გიორგაძემ ბრძანება გასცა, რომ ბოროტების მოსასპობათ გაგზავნილ იქნეს ჯარი.

◆ **წმ. ნინოს ქალთა სასწავლებლის** პედაგოგიურმა საბჭომ ამ სასწავლებლის ფრანგულის მასწავლებლათ აირჩია ჰანტურაია და აღმასრულებელ კომიტეტს დასამტკიცებლათ წარუდგინა.

◆ **სამდგილ-მამულო კომიტეტი.** ოზურგეთის მაზრის კომისარი ქუთაისის გუბერნიის აღმასრულებელ კომიტეტს ატყობინებს, რომ ოზურგეთის მაზრაში შესდგა სამაზრო საადგილ-მამულო კომიტეტი და ითხოვს საუბნო.

◆ **ლეჩხუმის მაზრის** კომისარი სთხოვს დამფუძნებელი კრების მომწყობ საგუბერნიო კომისიას, გაუგზავნოს ხარჯების დასაფარავათ 2000 მანეთი.

◆ **დაჭრა.** ოქტომბრის 18-ს ქალაქის სავადმყოფოს მახლობლათ მიდიოდა ნ. მოსიძე, რომელსაც სარიყამიშიდან ჩამოყვანილი ცხენები გაეყიდა 5,000 მანეთად. მოსიძეს თავს დაესხა რამდენიმე შეიარაღებული კაცი. რადგან მას ფული თან არ აღმოაჩნდა, წაართვეს ნაბადი და რევოლვერი და რამდენიმე ალაგას დასჭრეს. დაჭრილს პირველი დახმარება აღმოუჩინა ფერშ. აკაკი მდივანმა.

# დამფუძნებელ კრების

**საარჩევნო დაწესებულებანი ამიერ-კავკასიაში**

ამიერ-კავკასიის საგანგებო კომიტეტმა 1917 წელს, 14 ივლისს დაამტკიცა დრობითი წესები, რომლის ძალით დამფუძნებელ კრების ასარჩევათ მომზადება და თვით არჩევნების მოხდენა დავალებული აქვთ შემდეგ დაწესებულებებს: ცენტრალურს ამიერ-კავკასიის კომისიას, საგუბერნიო, სამაზრო, საუბნო და სასოფლო კომისიებს. ამიერ კავკასიის ცენტრალ კომისიის მოვალეობას შეადგენს საზოგადო ხელმძღვანელობა ამიერ-კავკასიაში საარჩევნო კომპანიის მოსახდენად, თვალ-ყურის დევნება დანარჩენ კომისიების მოქმედებისათვის და გავრცელება ყოველი იმ „დოკუმენტებისა" რაიც საჭიროა არჩევნების მოსახდენათ. ცენტრალური კომისია თვალყურს ადევნებს დანარჩენ კომისიების მოქმედების კანონიერებას და მათ მიზან შეწონილებას. ის შესდგებოდა რევოლუციონურ ორგანიზაციათა და პოლიტიკურ პარტიათა წარმომადგენელთაგან მისი მოქმედების რაიონი არის მთელი ამიერ-კავკასია სახელმწიფოს საზღვრებში, გარდა დაღესტნის ოლქისა და „ჩერნომორსკის გუბერნიისა.

**საგუბერნიო კომისია**

თვალყური ადევნოს საარჩევნო დაწესებულებებს გუბერნიის საზღვრებში, სისრულეში მოიყვანოს ამ დაწესებულებათა ცენტრალ კომისიის განკარგულებანი და საარჩევნო კანონი, გაავრცელოს ყველა ის დოკუმენტები, რომელსაც მიიღებს ცენტრალ კომისიის საქმის ვითარება გუბერნიაში და სხვა. იგი შესდგება: საგუბერნიო აღმასრულებელ კომიტეტის, ქალაქის საბჭოს, რევოლუციონურ ორგანიზაციების და პოლიტიკურ პარტიათა წარმომადგენლებისაგან. მოქმედების რაიონი არის გუბერნია.

**სამაზრო კომისია**

ისეთივეა, როგორიც საგუბერნიო კომისიისა, მხოლოდ მისი მოქმედების რაიონი მაზრაა, შემადგენლობაც ისეთივეა.

**საუბნო კომისია**

გადასცეს სასოფლო კომისიებს ყველა ის დოკუმენტები, რომელთაც მიიღებს სამაზრო ან საგუბერნიო კომისიისაგან, შეკრიბოს ცნობები სასოფლო კომისიებში და აცნობოს იგი სამაზრო კომისიას. მოქმედების რაიონი სოფლის საზოგადოებაა. იგი შესდგება აღმასრულებელ კომიტეტის წარმომადგენლთაგან.

**სასოფლო კომისია**

ადგენს საარჩევნო სიებს, ახდენს თვით არჩევნებს და არჩევნების შედეგებსატყობინებს საუბნო კომისიას. იგი შესდგება სასოფლო აღმასრულებელ კომიტეტის წარმომადგენლებისაგან და მოქმედებს მხოლოდ სოფელში.

ქალაქებში არჩევნებს ხელმძღვანელობენ ქალაქის გამგეობანი.

**საარჩევნო უბნები.**

ამიერ კავკასია, დროებითი მთავრობის განკარგულებით, ერთი საარჩევნო ოლქია. ამ ოლქში შედის ბაქოსი, განჯისა, ერევნის, თბილისის და ქუთაისის გუბერნიები, ყარსის, ზაქათალის, ბათომის და სოხუმის ოლქები. მთელს ამიერ კავკასიაში კენჭი უნდა უყარონ ერთსა და იმავე კანდიდატებს. მიცემული ხმების რაოდენობა დაითვლება ცენტრალურ კომისიაში და აქვე გადასწყდება, ვინ იქნება არჩეული დამფუძნებელ კრების დეპუტატათ. საარჩევნო ოლქი იმდენად დიდია, რომ თუ ერთს ადგილას იქნებოდა დანიშნული არჩევნები, მონაწილეობის მიღება შეეძლო მხოლოდ მი ადგილის ახლო მცხოვრებთ. ამიტომ საჭირო იყო ამ დიდი ოლქის საარჩევნო უბნებად დაყოფა. რადგანაც არჩევნები საყოველთაოა და მონაწილეობის მიღება შეუძლია ყველა სრულწლოვან მოქალაქეს, თვით არჩევნები ისე უნდა მოეწყოს, რომ ყველა უფლების მქონეს შეეძლოს მიიღოს არჩევნებში მონაწილეობა. ამიტომ ოლქის დანაწილებას საარჩევნო უბნებად მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს საყოველთაო არჩევნების განხორციელებაში. თუ საარჩევნო უბანი დიდი იქნება სივრცით, ყველა ვერ შესძლებს დასძლიოს სიძნელე გზისა და საარჩევნო ყუთთან მივიდეს, განსაკუთრებით ქალები და მით უმეტეს წვრილშვილიანი, ამიტომ ამიერ კავკასია დანაწილებულია საარჩევნო უბნებად. თვითეულ საარძევნო უბანში შედის მომეტებულ შემთხვევაში თითო სოფელი, ხოლო თუ სოფელი პატარაა და ამომრჩეველთა რიცხვი მეტად მცირეა, მაშინ ის სოფელი უერთდება მახლობელს პატარა სოფელსვე და ამგვარათ ჰქმნიან ერთს საარჩევნო უბანს. ორ პატარა სოფლის შეერთება შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სოფელთა შუა არ აღემატება ორ ვერსს. ეს დანაწილება საარჩევნო უბნებად მოხდა ამიერ კავკასიაში ცენტრალური საარჩევნო კომისიის განკარგულებით, სამაზრო კომისიების თუ მიერ. სამაზრო კომისიების გადაწყვეტილებით საარჩევნოუბნებათ დაყოფის შესახებ მცხოვრებნი კმაყოფილებანი არ არიან მათ შეუძლიათ ეს გადაწყვეტილება განასაჩივრონ საგუბერნიო კომისიაში, რომელიც მოვალეა განიხილოს საჩივარი და სხვაფერ დაჰყოს მაზრა უბნებათ, თუ ამას მოითხოვს სამართლიანობა (მუხ. 2 და 16 დებულებისა).

## საეროზო თათბირი

ოქტომბერს 14-ს და 15 ს მოხდა თათბირი საერობო რეფორმების განხორციელების შესახებ ამიერ-კავკასიაში. თათბირს, რომელსაც თავმჯდომარეობდა აკაკი ჩხენკელი, დაესწრნენ ეროვნებათა და პარტიათა წარმომადგენელნი. წარმოდგენილ იქმნა რამდენიმე რეზოლუცია, მაგრამ კრებამ არც ერთი არ შეიწყნარა. ამა თუ იმ რეზოლუციის შეწყნარებას ხელს უშლიდა მოთხოვნილება შესახებ იმისა, რომ წინასწარ გადამიჯვნა უნდა მოხდეს ზოგიერთ გუბერნიების და მაზრებისა ეთნოგრაფიულის მიხედვითო. ბოლოს მიღებულ იქმნა ნ. რამიშვილის შემდეგი წინადადება: 1) დროებითი მთავრობის დეკრეტით ამიერ-კავკასიაში ყველგან უნდა განხორციელდეს ერობის საერთო დებულებანი; 2) იმავე მთავრობის დეკრეტის ძალით ამიერ-კავკასიის საგანგებო კომიტეტმა ერობა ეხლავე უნდა შემოიღოს იმ უდავო ადგილებში, რომელთა ადმინისტრატიულად გადამიჯვნა საჭირო არ არის და არც არივინ თხოულობს ამას; 3) დეკრეტში აღნიშნული უნდა იყვეს, რომ სადაო გუბერნიებსა და მაზრებში ერობის შემოღების წინასწარ საქმედ მათი გადამიჯვნაა საჭირო; ამას თანავე სადაოდ ითვლებიან- მთელი ერევნის გუბერნია, განჯის გუბერნია გარდა არეშისა და ნუხის მაზრებისა, ყარსის ოლქის, ყარსისა და ყაგიზმანის განყოფილებანი და თბილისის გუბერნიის ბორჩალოსა და ახალქალაქის მაზრები.

რამიშვილის წინადადების მე 3-მე მუხლს მიემატა თავ. კ. ნ. აფხაზის შემდეგი შესწორება: დეკრეტის მიღების დღიდან ერთი თვის განმავლობაში ამიერ კავკასიის საგანგებო კომიტეტმა უნდა გადასწყვიტოს საკითხი ადმინისტრატიულ გადამიჯვნის შესახებ. ტერ-ხაზარიანცმა დაშნაკელების პარტიის სახელით განსაკუთრებული რეზოლუცია წარადგინა, რომლის განხილვა კრებამ არ მოისურვა. ამის გამო დაშნაკელთა პარტიის წარმომადგენლებმა კრება მიატოვეს და დარბაზიდან გავიდნენ დასასრულ კრებამ გადასწყვიტა არჩეულ იქმნას ცალკე კომისია სადავო ადგილების გადასამიჯნავად. კომისიაში წევრებად შევლენ ხუთ-ხუთი რწმუნებული სამი ეროვნებისაგან (ქართველ სომეხ მუსულმანები), ხოლო ამ რწმუნებულებს აირჩევენ პარტიები. ამათ მიემატება კიდევ რუსების მხრივ წარმომადგენელი, რომელთაც აირჩევენ ეს-დეკები და ეს-ერები.

## სასურსათო თათბირი

დაიწყო მთელი კავკასიის სასურსათო თათბირი, რომელზედაც გამოცხადდენ სასურსათო კომიტეტები რკინისგზებისა, ზოგიერთ ქალაქების თვითმართველობათა, ორგანიზაციებისა და სხვათა წარმომადგენლების თათბირის თავმჯდომარედ არჩეულია კავკასიის სასურსათო საქმეთა უფროსი ბ-ნი ბიჩი. თათბირმა უნდა აღიიშნოს ძირითადი მიზეზები სასურსათო საბჭოს დარღვევისა და გამონახოს ღონისძიებანი სურსათ სანოვაგის შეძენა მოტანა განაწილებისათვის.

როგორც ვიცით, დიდძალი ნაწილი სურსათისა მოდის ჩრდილო კავკასიიდან და საქონლის წამომღებია კავკასიის რკინის გზები. მაგრამ უკანასკნელ ხანებში აღნიშნულ გზებზე ხანდ-ახან ჩერდება ამ საყვედურის წინაალმდეგ კავკავის რკინის გზების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ გზის ადმინისტრაცია ყოველივე ღონეს გოკლებულია თავისით გაანაწილოს საქმეები, რადგან, გზა მომეტებულ ნაწილად სამხედრო მასალის გადაზიდვას უნდება და მეორე, დაბრუნებული ჯარები თვითნებობენ, სადგურების მოსამსახურეებს აღარაფერს ანებნენ, როგორც ესურვებათ, ისე დაყავთ მატარებლები ხოლო თვით, აუარებელი ბარგი მოაქვთ ნებადურთველადო.

კრება რამდენიმე დღეს გასტანს.

## მოსკოვის რამე-რუმე.

(შემდეგი იხ. „ჩვენი ქვეყანა“ № 150)

ამას წინად მაგალითად ერთი ქართველი სტუდენტი შელამებისას შინ ბრუნდებოდა. მისი შავი თმა, მოკაკული ცხვირი და შავი თვალ-წარბი არ მოსწონებოდა რუსებს და მიეყვირნათ: Вотъ идетъ жид“-ო. დაეჭირათ და ისიც იყო „სამოსუდი“-სათვის განმზადებულ ბრბოს უნდა დაეწყო თვისი მხეცური საქმე, რომ ქართველ სტუდენტს პასპორტი უჩვენებია და რუს ბრბოსაც რაკი წაუკითხავს „православнаго вѣроисповѣданія“, დაწყნარებულა, მაგრამ „кавказская рожа“ მაინც მოუძახნია. ეს ერთი მაგალითი არ არის. ამისთანა მოვლენა ყოველ წუთს და ყოველ კუთხეში ხდება. ასეთი „პოგრომული“ სული თვით მარკოვ II-სა და პურიშკევიჩ—კრუშევანის ბატონობის შავბნელ დროსაც არ ყოფილა რუსეთში. ეს არის ის სოციალისტურად განწყობილი „რევოლუციური დემოკრატია“ და „შეგნებული პროლეტარები“, რომლის დარაზმულობით ყურები გაგვიჭედეს როგორც ჩვენმა, ისე რუსეთის სოციალისტებმა.

სახელმწიფოებრივი შეგნება გაჰქრა. იგი ინტელიგენციასაც კი დაჰკარგვია. ლენინმა, მაგალითად, ერთ ერთ ბოლშევიკურ გაზეთში რუსეთში საშინლად გამძვინვარებულ ანარქიას ჭეშმარიტი და უტყუარი გზით სიარული სოციალიზმისკენ უწოდა.

რაღა გასაკვირია, თუ მასაში გაჰქრა თავისუფლებისადმი რწმენა. თვით ის მილიციელები, თავისუფლების დარაჯად რომ არიან დაყენებულნი, ბუდეს წარმოადგენენ ყოველივე უკანონობისას. მექრთამეობა ოდნავადაც არ შენელებულა. უწინ თუ ერთ „გარადავოისთან“, ან „პრისტავთან“ ჰქონდა მოქალაქეს საქმე, დღეს უკვე მათი მთელი წყება უნდა დააკმაყოფილოს. განსაკუთრებით რკინის გზებზე და სადგურებზე აღკრძალულია მაგალითად სპირტის გაზიდვა, სურსათსანოვაგით, ან სხვა პირველ საჭიროების საგნებით სპეკულიაცია, მაგრამ უკანასკნელი თუ გაასკეცდა, თვარა დაკლება არ ატყვია. მთელი მოსკოვი სპირტისა და ალკოჰოლის ზღვაში იხრჩობა. ყველაზე უფრო ჩვენმა თანამემამულე ქართველებმა ისახელეს ამ მხრივ თავი. პირდაპირ სასირცხო და თავ-მოსაჭრელი საქმე გვემართება. ამას წინად ადგილობრივ პრესაში ისეთი ლანძღვა-გინებით უმასპინძლდებოდენ კავკასიის ყველა ერებს და უფრო კი ქართველებს, რომ არა მგონია მწარე ფიქრები არ მოეგვარა იმ წერილს თავ-მოყვარე ქართველისათვის. სახელი „грузинъ“ „спиртовщик“-ის სინონიმად იქცა და თუ ამას დროზე არ შეებრძოლა როგორც ჩვენი პრესა, ისე ჩვენი საზოგადოებრივი დაწესებულებანი, რუსეთის პატიოსან საზოგადოებაში თავს ველარ გამოვჰყოფთ. საკმარისია ქუჩაში ბოხოხის ქუდით და ჩვენებურად არეულ-დარეულად ჩაცმული კაცი (ბლუზა ფოჩებიანი „კისტი“-თ შემორტყმული, ზედ პალტო, ხვანჯრიანი დიაგონალის შარვალი წუღა-მესტში ჩაკეცილი) გავიდეს, რომ მას „ვოდკი“-ს წყურვილით დამხჩვალი რუსი ამოუდგეს გვერდით და სპირტი მოსთხოვოს. ეს მოვლენა მეტად დამახასიათებელია და დამაფიქრებელიც. რუსის საზოგადოებაც ასე გვიცნობს. ასეთი „სასიქადულო მამულისშვილები“-თ გატენილია მოსკოვი და ისე ულვთოდ იტენიან ჯიბეებს რუსეთის „დემოკრატიის“ ფულებით, რომ იშვიათია „სპირტოვშჩიკი“, 100 და 150 ათასი მანეთის შემძლე რომ არ იყოს. ამ ფულის დიდი ნაწილი იქვე იხარჯება ქალებში და ქეიფობაში. ჩამოდიან უვიცნი, ცოლ შვილიანი ხალხი და თუ დიდ ვნებას აყენებენ სპირტის გაყიდვით მოსკოვის მოქალაქეთ, სანაძლეულოსაც დიდს იღებენ. ბრუნდებიან ცოლ-შვილში ზოგი სუსუნატით, ზოგი ათაშანგით და ათასგვარ ვენერიული ავადმყოფობით და აუბედურებენ ოჯახსაც, მომავალ თაობასაც, მაშასადამე მთელს ერსა და სამშობლოსაც. ვინც ჩაუფიქრდება ამ მოვლენას დიდი ბრძოლაც უნდა გაუწიოს მას. უბედურ საქართველოსათვის ის საშინელი ავადმყოფობანიც საკმარისი არის, ფრონტიდან დემობილიზაციით თავისუფალი ქართველი მხედრობა თან რომ ჩამოიტანს. გამოდის ისე, თითქოს ყველანი და ყველაფერი ჩვენი ფიზიკური სხეულის და სნეულებისათვის ზრუნავდეს.

ამასთანავე აღსანიშნავი არის ისიც, რომ მოსკოვში არ არის ისეთი დაწესებულება, ასეთ „სპირტოვშჩიკ“-ებზე რომ ზნეობრივი გავლენა იქონიოს. ვერც შეხვდები ამ ვაჟბატონებს შენს წრეში. მათ საკუთარი ბუდეები აქვთ, ეგრ. წოდ. „ზაკუსაჩნაია“-ები, რომელთაც აგრეთვე თვით ქართველები ინახავენ უმთავრესად და ასეთ წრეში ხომ რასაც არ წააგებს მისი ზნეობრივი ბუნება, რა უნდა მოიგოს, ან რა უნდა ისწავლოს? მოსკოველი ქართველი ინტელიგენცია ხომ სავსებით მოშორებულია მათ. ამნაირად შეიძლება ითქვას, რომ მთელი მოსკოვის ქართველობა ორ ბანაკად გაიყო. რომელთა შორის არც კავშირს, არც ურთი ერთობას ადგილი არა აქვს.

თვით ინტელიგენტური წრეების დასახასიათებლადაც შეგვიძლია ვსთქვათ რომ ესენიც დაქსაქსული და განბლეულნი არიან. სტუდენტების „ურთიერთ დამხმარე საზოგადოების“ გამგეობა სადღაც გაჰქრა, კაციშვილი არა სჩანს, დიდ ქონებას (5000 მან.) საკუთარ სამკითხველოს და სხვა საფასობელთ რომ მოუაროს. რევოლუციის წინ ერთი ბრძოლა იყო გაჩაღებული სამ მიმართულებათა შორის, რათა ამ საზოგადოების სადავე ხელთ ეპყრათ. მაშინ მხოლოდ „საქართველოები“ „სახალხოელები“ და „აზრელები“, კრიტიკის ქარცეცხლში ატარებდნენ ერთი მეორეს, ყოველგვარ საარჩევნო ხრიკებს ხმარობდნენ ხმის მისაღებად გაცხარებული ებრძოდნენ ერთი მეორეს, მხოლოდ დღეს ყველანი მიყუჩებულნი არიან. ჯერ ერთი მეოთხედიც ქართველი სტუდენტობისა არ არის მოსკოვში. ყველანი შინ დარჩენილან და სრულიად საბუთიანადაც. ხოლო საქმე ის არის, რომ ისინი მაინც, აქ რომ დარჩენილან არავითარ ინიციატივას არ იჩენენ შეკავშირებისა და მოქმედების გაგრძელებისათვის. სამოსწავლო წლის დაწყებას ეს ბუნებრივად და კანონიერად, უნდა მოჰყოლოდა, მაგრამ ვერც ეს გამოჩენილა საკმარის საბაბად აქ მყოფ ქართველ სტუდენტებისათვის. დაქსაქსულობა უცვლელად დარჩენილა. რა იქნება ახლო მომავალში ჰალლახმა უწყის! ერთად ერთი ადგილი, სადაც ქართველ სტუდენტობას ოდნავად მაინც აერთებს რამე, ეს ქართველ სტუდენტთა საერთო საცხოვრებელი ბინა (общежитіе) არის. არის 6 ოთახი და სცხოვრებენ როგორც კურსელი ქალები ისე სტუდენტები. აღსანიშნავია, რომ მოსწავლე ქალთა რიცხვი ბევრად სჭარბოფს მამაკაცებისას; რით აიხსნება ჩვენი ქალების ასეთი სწავლის წყურვილი ძნელია თქმა. ისიც ძნელია ითქვას, სწავლის წყურვილი უფრო არის ეს, თუ დიდი ქალაქებისადმი მისწრაფება. ყოველ შემთხვევაში ის კი ცხადია, რომ არც ქალი და არც კაცი მაინცა და მაინც არ იტეხს თავს ტვინის მეცნიერებით გაძღენთისათვის, რადგან ყოველი ამათგანი იძულებულია შიმშილის წინაალმდეგ მკაცრი ბრძოლა გასწიოს და დროც აღარ რჩება თვისი აქ წამოსვლის მთავარ მიზანს ემსახუროს ისწავლოს. ამნაირად იბადება კითხვა, არის თუ არა მიზანშეწონილი და სასარგებლო ჩვენი სტუდენტობისათვის, ამ საქართველოს ყოფნა-არყოფნის კითხვის გადაწყვეტის დროს, რუსეთის უნივერსიტეტში ყოფნა, თუ მეცადინობაც ფიზიკურად შეუძლებელია. ამის გადაწყვეტას თვით სტუდენტობას მივანდობთ, მათ მამ-ული შვილურ გრძნობას და გამჭრიახ გონებას. ცხადია კი, რომ ამ კითხვას ღრმად უნდა ჩასწვდეს ჩვენი სტუდენტობა და მოფიქრებული ნაბიჯიც გადასდგას.

**სოსო.**

## ჟურნალ-გაზეთებიდან.

**შეიდემანის სიტყვა.**

ქ. ვირცბურგის პარტეიტაგზე გერმანეთის სოც. დ-მა შეიდემანმა თათბირის დასასრულს შემდეგი სიტყვა წარმოსთქვა. უპირველეს ყოვლისა შეიდემანმა მოითხოვა რადიკალი სოციალი რეფორმები, განსაკუთრებით კი საგადასახადო დარგში. „ყველაზე უმთავრესი, ეს ჩვენი წესწყობილების დემოკრატიზაცია არის, მაგრამ ამას მთავარ დაბრკოლებათ წინ ედობება მიხაელისი (კანცლერი). ისინი ვინც აგვიანებენ პრუსიაში შინაურ რეფორმის მოხდენას, მეტად საშიშ გარემოებას ქმნიან. ამ საკითხში ჩვენ ვერ მოვითმენთ ვერავითარ ვაჭრობას და შეღავათს. აგრეთვე „სამამულიშვილო პარტია უაღრესათ სახიფათო გზით მიდის. გერმანეთის მუშათა კლასი მჭიდროთ შეკავშირებული ეუბნება ყველას, რომ„ ჩვენ წინადადებას ვაძლევთ ყველს, რომ ახალი გერმანეთი უნდა იყოს თავისუფალი.“ შეიდემანის სიტყვას მხურვალე ტაშით მიეგებნენ.

**საარჩევნო კანონი პრუსიაში.**

ამას წინად გერმანეთის მთავრობამ საარჩევნო დებულება შეიმუშავა, რომელსაც მხოლოთ რეიხსტაგის არჩევნებისთვის ქონდა მთავარი მნიშვნელობა ახლა. როგორც გაზ. „ბირჟ. ვედ“. ატყობინებენ, საარჩევნო დებულება პრუსიაში ახლავე გატარდება ცხოვრებაში იმ სახით, რა სახითაც ელზას ლოტარინგიელები სარგებლობენ საარჩევნო უფლებით. იმ უცხოელს, რომელსაც ერთი წელი უცხოვრია პრუსიაში და თუ სამი წელი აქვს შესრულებული რაც გერმანეთის ქვეშევრდომათ ითვლება. სარგებლობს საარჩევნო უფლებით.

**გერმანეთის პრესის სიხარული.**

გერმანეთის პრესა აღტაცებულია და სიხარულს გამთსიქვამს იმის გამო, რომ უკანასკნელ დროს შინაურმა სესხმა ხაზინას $12^{1/2}$ მილიარდი მარკა მისცა, რაც ამტკიცებს გერმანეთის ხალხის ურყევ პატრიოტიზმსო. პრესა აღნიშნავს, რომ გერმანეთს ომის სასურველად განგრძობისთვის ჯერ კიდევ უეჭველი პირობები აქვს. გერმანეთი დაუმარცხებელია, როგორც ფინანსურ მხრით ისე ბრძოლის ველზე.

**გლეხთა ყრილობა.**

ოქტომბრის 8 ს ქ. მოსკოვში გაიხსნა გლეხთა საოლქო ყრილობა. ეს ყრილობა უმხრობა სრულიად რუსეთის გლეხთა ყრილობას. თათბირზე მონაწილეობას იღებს 100 ოელეგატი სხვა და სხვა გუბერნიებიდან. თავმჯდომარეთ აირჩიეს სრულიად რუსეთის გლეხთა კავშირის ცენტრალ აღმასრულებელ კომიტეტის წევრი კურნინი. ყრილობამ რეზოლუცია გამოიტანა, რომ სრულიად რუსეთის გლეხობა დამფუძნებელ კრების არჩევნებში ვერც ერთ პარტიას ვერ მიემხრობა და არჩევნებში დამოუკიდებლათ გამოვა, რადგან არც ერთ პარტიას არ შეუძლია მის გარშემო შემოკრიბოს მრავალ მილიონიანი გლეხობა. გლეხთა კავშირი დამფუძნებელ კრებაზე გაგზავნის ისეთ კაცებს, რომლებიც მოითხოვენ ლაშქარში საომარ უნარის აღდგენას და სახელმწიფოში რღვევა ანარქიის შეჩერებას.

**ჯარის წარმომადგენელთა მოთხოვნილება**

რუმინეთის ფრონტი წარმომადგენელნი პეტრეს ქალაქში მოვიდენ და ბოლშევიკების თანადასწრებით გამართულ სხდომაზე განაცხადეს. „ომის გაგრძელება აღარ შეიძლება ჯარს არ აქვს სანოვაგე, არ აქვს არც ხალხის ნდობა, თუ მთავრობა არ ჩამოაგდებს ზავს, მაშინ ჯარი შეჰკრავს ზავს. კამენევმა ჯარის წარმომადგენელს მხურვალე სიტყვით მიმართა.

**280 მან. დღეში.**

ცარიცინში გემების დამტვირთველებმა ხელფასის მომატება მოითხოვეს. გემების პატრონებმა გამოიანგარიშეს და გამოარკვიეს, რომ ამ მოთხოვნილების მიხედვით თითო დამტვირთელმა დღეში 280 მან. უნდა მიიღოს. გემების პატრონები თხოვნით წავიდენ პეტროგრადს, გავლენა იქონიეთ დამტვირთველებზე, რომ ვოლგის ნაოსნობის საქმე არ დაღუპონო.

რედაქტორ-გამომცემელი

**დ. ბ. კვირკელია.**

## რკინიგზის მიმოსვლა.

დრო ადგილობრივია ნაჩვენები.

ქ. ქუთაისს მოდის.

| | | | |
|---|---|---|---|
| თფილისიდან | — დილის — | 7 ს. 47 | წ. |
| „ | — საღამ. — | 8 ს. 49 | „ |
| ბათომიდან | — დღისით — | 12 ს. 55 | „ |
| „ | — ღამის — | 11 ს. 42 | „ |
| „ | — დილის — | 10 ს. 20 | „ |
| ფოთიდან | — დილის — | 8 ს. 17 | „ |
| ტყიბულიდან | — საღამოს — | 6 ს. | „ |
| | დილის — | 9 ს. 10 | „ |
| ხაშურიდან | — დილის — | 9 ს. 24 | „ |

ქ. ქუთაისიდან გადის.

| | | | |
|---|---|---|---|
| თფილისისაკენ | — დილის | 8 ს. 25 | „ |
| „ | — ღამის — | 10 ს. 20 | „ |
| ბათომისაკენ | — საღამოს — | 7 ს. 1 | „ |
| „ | — დღით — | 1 ს. 40 | „ |
| „ | — დილის — | 6 ს. 20 | „ |
| ფოთისაკენ | — დღისით — | 3 ს. 18 | წ. |
| ტყიბულისაკენ | — დილის — | 7 ს. 57 | „ |
| | — დღით — | 2 ს. 37 | „ |
| ხაშურისაკენ | — დღით — | 4 ს. 40 | „ |

## ექიმები

**ა. მ. ასათიანი** ლებულობს ქალურ, ვენერიულ და შინაგან სნეულებით ავათმყოფებს ყოველდღე დილის 11—2 საათამდე, საღამოს 6—8 საათამდი პუშკინისა და ბალახვანის ქ. კუთხე სახლი № 3 ტელეფონი № 101.

**ი. ჩარექიშვი** ქალაქის საავათმყოფოს ორდინატორი. იღებს კანის, ვენერიულ და სიფილისიან ავათმყოფებს.

(სისხლში შესხმა „606“ და „914“) დილით $12^{1}/_{2}$—2 საათ. საღამოს 6—8 ს.

მისამართი. ლევაშოვის ქუჩა, ალიბეგოვის სახ. ტელეფონი № 135.

**ნიკოლოზ საბაევის** ბაღში ბათუმის მახლობლათ ისყიდება საუკეთესო ხარისხის ერთ წლოვანი და სამნახევარ წლოვანი

# მანდარინის ნერგები.

რომელიც ამა შემოდგომაზე დარგული უკანასკნელი მომავალი წლისთვის მისცემს ნაყოფს. აქვე ისყიდება **ლიმონის** და **ფორთოკლის** ნერგებიც. მისამართი: ბათუმში საბაევის მაღაზიაში.

სტამბა "ძმობა" პუშკინის ქუჩა ვოკიელოვის სახლი, ქუთაისში